პროექტი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება № ----
2023 წ.--------- ივლისი
ქ. ოზურგეთი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი, მე-2 ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ა დ გ ე ნ ს:

მუხლი 1. შეტანილ იქნას ცვლილება ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის N1 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 05/12/2017 სარეგისტრაციო კოდი 010250000.35.113.016298) და დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის:

1. მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,1. საკრებულოს მორიგი სხდომები, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ამ რეგლამენტით დადგენილი წესით, მოიწვევა თვეში ერთხელ მაინც. საკრებულოს სხდომა ტარდება, როგორც წესი, ყოველი თვის ბოლო ოთხშაბათს (ხოლო, თუ ოთხშაბათი არასამუშაო დღეა, მომდევნო სამუშაო დღეს).“.

2. 47-ე მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,1. საკრებულოს მორიგი სხდომა მოიწვევა თვეში ერთხელ მაინც. როგორც წესი, ყოველი თვის ბოლო ოთხშაბათს (თუ ოთხშაბათი არასამუშაო დღეა, მომდევნო სამუშაო დღეს). საკრებულოს მორიგი სხდომა, თუ არ იცვლება მისი თარიღი და ჩატარების ადგილი, არ საჭიროებს ოფიციალურად მოწვევას.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩია**

განმარტებითი ბარათი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე

1. პროექტის წარმდგენი და ინიციატორი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია

2. პროექტის ავტორი და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლავრენტი ბიგვავა.

3. პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ა) პროექტის მიღების მიზეზი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის მიერ დასახული მიზნების, ამოცანებისა და სამუშაო გეგმებით გათვალისწინებული საკითხების შესასრულებლად, ასევე კოორდინირებული და უფრო მეტად ეფექტური საქმიანობის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია შეტანილი იქნას ცვლილება რეგლამენტში, კერძოდ, აღნიშნული ცვლილების მიღებით საკრებულოს მორიგი სხდომები, ნაცვლად თვის პირველი ოთხშაბათისა გაიმართება, ყოველი თვის ბოლო ოთშაბათს.

ბ.ბ) პროექტი შეიცავს პრეამბულას და მასში გადმოცემულია ამ ნორმატიული აქტის მიღების სამართლებრივი საფუძვლები.

4. იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარმოდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა):

ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

5. პროექტი სხვა ნორმატიულ აქტში იმ ცვლილების შეტანის შესახებ, რომელსაც გამოიწვევს წარდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა).

- პროექტის მიღება არ გამოიწვევს სხვა ნორმატიულ აქტში ცვლილების შეტანას

6. ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ნორმატიული აქტის ზეგავლენის შეფასება.

- ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ნორმატიული აქტის მიღება ზეგავლენას არ მოახდენს.

7. პროექტის მიღების სავარაუდო თარიღია 2023 წლის - ივლისი.